ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7357992

ნომერი: AR11067027

თარიღი : 25.11.2024

გაცემის თარიღი : 27.01.2025

გაცნობის თარიღი : 29.01.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი ოქროყანა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი წიკლაური პ/ნ 01017045962
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ალეკო შენგელიას ქუჩა, N 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახუმა განიხილა 2024 წლის 25 ნოემბრის №AR11067027 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2022 წლის 20 ოქტომბრის №6171458 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2024 წლის 02 დეკემბრის №7305221 ბრძანებითა და

სამსახურის 2024 წლის 12 დეკემბრის №7318588 და 2024 წლის 26 დეკემბრის №7334116 გადაწყვეტილებებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ამჯამად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღარ არის წარმოდგენილი განაშენიანების ფართობის კროკი (pdf ფაილი).
აგრეთვე, პირველ სართულზე „3-4“ და „ა-ბ“ ღერძებთან არსებულ ფართზე დაფიქსირებულია ფართობი 24.5 კვ.მ., თუმცა აღნიშნული ფართობი არ არის დაანგარიშებული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში. საჭიროა აღნიშნული ფართობი დაანგარიშებულ იქნეს საზაფხულო ფართის ფართობში, ან წაიშალოს გეგმიდან ფართობის მაჩვენებელი.
აგრეთვე, წარმოდგენილ გეგმებზე იცვლება ღერძებისა და საკადასტრო საზღვრამდე მანძილების მაჩვენებელი.
განგიმარტავთ, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას და საჭიროა ზომები მიეთითოს შეთანხმებული პროექტის იდენტურად.
ამასთან, წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილია სართულის განშლა და მოთხოვნილია კ2 კოეფიციენტის ცვლილება. განგიმარტავთ, რომ კ2 კოეფიციენტის ცვლილებისთვის საჭიროა მოთხოვნა დაყენებულ იქნეს შეთანხმებული პროექტის ცვლილებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში დაზუსტდეს განაშენიანების ფართობი. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში დაზუსტდეს საზაფხულო და საერთო ფართობები.
წარმოდგენილ იქნეს სამსახურის 2022 წლის 20 ოქტომბრის №6171458 ბრძანებით შეთანხმებულის იდენტური შესწორებული გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე). აგრეთვე, განაშენიანების ფართობის კროკი (pdf ფაილი).
ვინაიდან, სამსახურის 2024 წლის 26 დეკემბრის №7334116 გადაწყვეტილებას გაეცანით 2024 წლის 27 დეკემბერს და განახლებული დოკუმენტაცია წარმოადგინეთ 2025 წლის 24 იანვარს სამსახურის მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 22 (ოცდაორი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 10 (ათი) სამუშაო დღე.
სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2024 წლის 25 ნოემბრის №AR11067027 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.